საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030162493838519

№ 01-217/მ **13 / მაისი / 2019 წ.**

დავით სერგეენკოს, სოფიკო ბელქანიასა და მარიანა მკურნალის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში დაგეგმილ ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის 72-ე სესიაში (ასამბლეის ფარგლებში, ზოგადი დისკუსიის პლენარულ სესიაზე და საქართველოს თანაორგანიზებით დაგეგმილ პარალელურ ღონისძიებაზე გათვალისწინებულია ჩემი სიტყვით გამოსვლა საყოველთაო ჯანდაცვის საკითხებზე. ასევე, იგეგმება ორმხრივი შეხვედრების გამართვა ევროპის რეგიონის ქვეყნების ჯანდაცვის მინისტრებთან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე ქალბატონი ნატა მენაბდის კანდიდატურის მხარდაჭერის მიზნით) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 19 მაისიდან 2019 წლის 22 მაისის ჩათვლით შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში, მივლინებულ იქნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **დავით სერგეენკო**, ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **სოფიკო ბელქანია** და ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **მარიანა მკურნალი.**

2. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) აანაზღაუროს სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯები;

ბ) აანაზღაუროს დავით სერგეენკოს სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 8 მაისის N18548 თანხმობა, ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2019 წლის 13 მაისის № 01-4691 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად დავით სერგეენკო